გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №141

ქ. თბილისი **4/ივლისი/2014 წელი**

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2014 წლის **4 ივლისს** 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N 1805 განკარგულების საფუძველზე, დაფინანსების წყარო – **საკუთარი შემოსავლები**

ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" (ს/კ 236035517) – ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) (შემდგომში „შემსყიდველი") მისამართი: თბილისი ჯავახიშვილის ქ. 51, და მეორე მხრივ, შპს „მაგთიკომი" (ს/კ 204876606), მისამართი:, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – გენერალური დირექტორის მოადგილე გია კოშორიძე -, (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV –**72400000-ინტერნეტმომსახურეებების შესყიდვა**, კერძოდ: მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისთვის მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქ. N49. ინტერნეტის მიწოდებას მიმწოდებლის კუთვნილი დამაკავშირებელი აღჭურვილობით TCP/IP-ის არხების საშუალებით (არხების რაოდენობა, სიჩქარე და მიმართულებები მითითებულია დანართი N1-ში).
2.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 8 ივლისიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2907.6 ლარს (ორი ათას ცხრაას შვიდი ლარი,60 თეთრი);**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნული TCP/IP-ის თითოეული არხის საშუალებით ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფის ყოველთვიური საფასური თითოეული არხის სიჩქარისთვის მითითებულია დანართი N2-ში.
4.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ხარისხი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1.თითოეული მიმართულებით TCP/IP-ის არხის საშუალებით აპარატურის გადაცემისას და მომსახურების მიწოდებისას მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტი) დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

ბ) საკუთარი და/ან მასთან გათანაბრებული ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს მე-2 მუხლში აღნიშნული კავშირის ინტერფეისი მიმწოდებლის აღჭურვილობასთან, სადაც განლაგებეულია აპარატურა. თუ ამ დროს ან შემდგომში დადგინდა, რომ შემსყიდველის მიზეზით დაზიანდა მიმწოდებლის აპარატურა, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიყენებული ზიანი.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

ბ) უზრუნველყოს თავისი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და დროულად აღმოფხვრას შეფერხებები;

გ) გადასცეს კომპანიას კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო აპარატურა;

დ) უზრუნველყოს არხების შესაბამისობა ტექნიკურ ნორმებთან და პარამეტრებთან ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში;

ე) უზრუნველყოს დანართ #1-ში ჩამოთვლილი მისამართებზე ინტერნეტ კავშირი და მისცეს საშუალება შემსყიდველს უზრუნველყოს მიმწოდებლის აღჭურვილობის ინტერფეისი საკუთარ მოწყობილობებთან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის" IT-მენეჯერი ლაშა გრიგოლია, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად (ორი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)	შპს „მაგთიკომი“ (ს/კ 204876606)
ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307)	ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი- გენერალური დირექტორის მოადგილე გია კოშორიძე
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000	საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE66BG0000000241607901
ხელმოწერა: ----------	ხელმოწერა: ----------

დანართი №1

ქალაქი	მისამართი	მომსახურება	სიჩქარე
დედოფლისწყარო	ნიკორციხის ქ. N49	ინტერნეტი	1მბ/წმ

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)	შპს „მაგთიკომი“ (ს/კ 204876606)
ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307)	ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი- გენერალურიდირექტორისმოადგილე გია კოშორიძე

დანართი №2

ინტერნეტის სიჩქარე	ყოველთვიური გადასახადი, ლარი დღგ-ს ჩათვლით	არხის ორგანიზების ერთჯერადი გადასახადი, ლარი დღგ-ს ჩათვლით	არხის გადატანის ერთჯერადი გადასახადი, ლარი დღგ-ს ჩათვლით
1მბ/წმ	409.6	300	150

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)	შპს „მაგთიკომი“ (ს/კ 204876606)
ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) _____	ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი- გენერალურიდირექტორისმოადგილე გია კოშორიძე _____